# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება

N631 2015 წლის 17 დეკემბერი ქ. თბილისი

**იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების) მიერ უცხოელი დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციისა და შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის თაობაზე**

**მუხლი 1.** „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების) მიერ უცხოელი დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციისა და შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 მაისიდან.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2015 წლის 17 დეკემბრის
№ 631 დადგენილებით

# იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების) მიერ უცხოელი დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციისა და შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს წესი განსაზღვრავს იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების) (შემდგომში - შუამავალი კომპანია) მიერ უცხოელი დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციისა და შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის (შემდგომში - სამინისტრო) წარდგენის წესს, ამავე წესით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად.

## მუხლი 2. ანგარიშის წარდგენა

1. შუამავალი კომპანია ვალდებულია, სამინისტროს წარუდგინოს

საქართველოს მოქალაქის, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოს ანგარიში (მათ შორის ნულოვანი), ამ წესის 1.1 დანართით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად.

2. შუამავალი კომპანია ყოველწლიურ ანგარიშს წარადგენს წელიწადში ერთხელ, მომდევნო კალენდარული წლის პირველ მარტამდე.

3. თუ შუამავალი კომპანია გააუქმებს ამ საქმიანობაზე რეგისტრაციას, იგი ვალდებულია, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინოს სამინისტროს, რეგისტრაციის გაუქმების თვის მომდევნო 2 თვის დასრულებამდე, მაგრამ არა უმეტეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადისა.

**მუხლი 3. ანგარიშის წარდგენის ფორმა**

1. ანგარიში მატერიალური ფორმით წარედგინება სამინისტროს იურიდიულ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, 0159, ა. წერეთლის გამზ. 144-ში ან ელექტრონული ფორმით, სამინისტროს ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე: info@moh.gov.ge.

2. სამინისტრო უზრუნველყოფს მიღებული ანგარიშების დამუშავებას და ამ ანგარიშების საფუძველზე შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას.

3. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ანგარიშის წარუდგენლობა გამოიწვევს შუამავალი კომპანიის პასუხისმგებლობას, „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. ანგარიშის წარუდგენლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება.

5. სააგენტო მიღებული შეტყობინების საფუძველზე, „შრომითი

მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-16 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოფს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.

იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების) მიერ უცხოელი დასაქმებლის შესახებ ინფორმაციისა და მრომითი ემიგრაციის სფეროში განხორცი

იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების) სახელწოდება: _____

მიხი საქმიანობის დამადასტურებელი რეგისტრაციის ნომერი და საიდენტიფიკაციო კოდი: _____

| | ინფორმაცია უცხოელი დასაქმებელი ორგანიზაციის შესახებ | | | | ინფორმაცია საზღვარგარეთ დასაქმებული ემიგრანტის შესახებ | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | ორგანიზაციის დასახელება | იურიდიული მისამართი | ფაქტობრივი მისამართი | საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი და/ან ელექტრონული ფოსტა) | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | დაბადების თარიღი | სქესი | პროფესია | დაკავებული თანამდებობა | საქართველოს მოქალაქე/ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის შესახებ. | ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების შესახებ |
| 1 | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | | | | | |
| 7 | | | | | | | | | | | | |
| 8 | | | | | | | | | | | | |
| 9 | | | | | | | | | | | | |
| 10 | | | | | | | | | | | | |
| 11 | | | | | | | | | | | | |
| 12 | | | | | | | | | | | | |
| 13 | | | | | | | | | | | | |
| 14 | | | | | | | | | | | | |
| 15 | | | | | | | | | | | | |
| 16 | | | | | | | | | | | | |
| 17 | | | | | | | | | | | | |
| 18 | | | | | | | | | | | | |
| 19 | | | | | | | | | | | | |
| 20 | | | | | | | | | | | | |
| 21 | | | | | | | | | | | | |
| 22 | | | | | | | | | | | | |
| 23 | | | | | | | | | | | | |
| 24 | | | | | | | | | | | | |
| 25 | | | | | | | | | | | | |
| 26 | | | | | | | | | | | | |
| 27 | | | | | | | | | | | | |
| 28 | | | | | | | | | | | | |
| 29 | | | | | | | | | | | | |
| 30 | | | | | | | | | | | | |
| 31 | | | | | | | | | | | | |

ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის პერსონალური მონაცემები

სახელი: _____

გვარი: _____

პირადი ნომერი: _____

თანამდებობა: _____

საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი და/ან ელექტრონული ფოსტა): _____

ელუბელი საქმიანობის შესახებ ანგარიშის ფორმა

| შრომით ემიგრანტსა და უცხოელ დამსაქმებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადები და ანაზღაურების წესები (ხელშეკრულებაში ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში): | |
|---|---|
| ხელშეკრულების ვადა | ანაზღაურების წესი (ნაღდი/უნაღდო) |
| | |
| | |
| |